საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/136

23 ოქტომბერი, 2020 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლ პერსონალთან და მსმენელებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის" დებულების, ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის ბრძანებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან (თეორიული/პრაქტიკული სწავლება) გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულების ფორმა წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ პირებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმა, წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად.
3. ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრთან კოორდინირებული მუშაობით უზრუნველყოს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მოწვეულ პირებთან **შრომითი ხელშეკრულებების** (**დანართი** 1) გაფორმება, გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის შემდეგ მათი სკანირება და ელექტრონული

საქმისწარმოების შესაბამისად ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრისათვის გადაგზავნა.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველებში - იურიდიული ცნობარი/საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები/პროფესიული სწავლება).
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 23 ოქტომბრის
N01-02/136 ბრძანების დანართი 1

შრომითი ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ------- ---------- -------
რიცხვი, თვე, წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში ,,ბსუ"/,,უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, ---------- ---------- და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის --------- ---------- მიერ (შემდეგში - „დამსაქმებელი") და მეორე მხრივ ———————— ———————————— (შემდეგში **„დასაქმებული"/,,მასწავლებელი"**), შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია მოწვეული მასწავლებლის მიერ ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების **საგანმანათლებლო პროგრამის ,,**----------„ (შემდეგში - **,,პროგრამა"**) წარმართვასთან დაკავშირებული შრომითი ურთიერთობის (**შემდეგში - ,,შრომითი საქმიანობა"**) დარეგულირება.

1.2. დასაქმებული შრომით საქმიანობას წარმართავს ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროგრამის, მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების/შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების და წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3. დასაქმებულის შრომითი საქმიანობის დაწყებისა და დასრულების დრო განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული აკადემიური კალენდარით.

1.4. დასაქმებულის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება და შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება განიხილება წინამდებარე შრომითი ხელშეკრულების ნაწილად. აღნიშნულ ბრძანებებში ცვლილებების და დამატებების შეტანა არ საჭიროებს ამ შრომით ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანას (ცვლილებები ან/და დამატებები დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით).

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. დასაქმებულს უფლება აქვს:

ა) ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს შესაბამისი პირობების შექმნა და მიიღოს ბსუ-ს აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შრომის ანაზღაურება;

ბ) მოითხოვოს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო;

გ) დისკრიმინაციის გარეშე ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, უნივერსიტეტის წესდებით, ბსუ-

ს შინაგანაწესით და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, რაც დაკავშირებულია წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებასთან.

2.2. **დასაქმებული ვალდებულია:**

ა) შრომითი საქმიანობა წარმართოს ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების **პროგრამის** განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტების (ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტები) შესაბამისად;
ბ) სამუშაო შეასრულოს პირადად, პროგრამის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში, მასწავლებლის საათობრივი სამუშაო დატვირთვის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებაში ან/და წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ სამუშაო ადგილზე (მისამართი -------);
გ) პროგრამის სასწავლო რესურსი გამოიყენოს უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით; მიიღოს ყველა გონივრული ზომა პროგრამით დადგენილ ვადებში და თემატიკის შესაბამისად მსმენელის ცოდნისა და მიღწევების სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად და შეფასების პროცესში გამოიყენოს შესაბამისი **პროგრამით** გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმები, შეავსოს და დადგენილ ვადებში წარადგინოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული დოკუმენტები;
დ) გაუფრთხილდეს დამსაქმებლის მიერ მისთვის სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად დროებით სარგებლობაში გადაცემულ მატერიალურ ფასეულობებს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს ბსუ-ს უფლებამოსილი პირისათვის მათი დაბრუნება;
ე) ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს შრომის კოდექსით, ბსუ-ს წესდებით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ბსუ-ს მართვის ორგანოთა აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, დაიცვას უნივერსიტეტის პრესტიჟი, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რეგულარულად გაეცნოს ამ სამართლებრივ აქტებში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიეწოდება ბსუ-ს ელექტრონული საქმისწარმოების/წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ ელექტრონულ მისამართზე/სხვა ელექტრონული რესურსის საშუალებით ან/და განთავსდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
2.3. დასაქმებული შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება ბსუ-ში შრომითი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებს, მათ შორის ბსუ-ს შინაგანაწესს, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. დასაქმებული ასევე თანახმაა მისი პერსონალური ინფორმაცია დამსაქმებლის მიერ დამუშავდეს მასთან შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.4. დამსაქმებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს დასაქმებულს ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ–ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, ხოლო შეუსრულებლობის შემთხვევაში - გაატაროს მის მიმართ საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები;

ბ) დაამუშაოს დასაქმებულის პერსონალური ინფორმაცია შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან ან/და ბსუ-ს საქმიანობის ფარგლებში სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) შეუქმნას დასაქმებულს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად შესაბამისი პირობები და გარემო და ამ მიზნით უზრუნველყოს დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა რესურსებით სარგებლობა;

ბ) ბსუ-ს აქტებით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობითა და პირობებით უზრუნველყოს დასაქმებულის შრომის შესაბამისი ანაზღაურება;

გ) ხელი შეუწყოს დასაქმებულს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, შრომის კოდექსით, ,,პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებებით.

მუხლი 3. შრომის ანაზღაურება

3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საათობრივი შრომის ანაზღაურების ოდენობა (ტარიფი) შეადგენს ---------- ლარს (საფუძველი - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის N---------- ბრძანება, რომელსაც ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დროისათვის გაცნობილია დასაქმებული). ტარიფის ცვლილება არ გამოიწვევს წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და დასაქმებულს ეცნობება წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნულ პირად ელექტრონულ ფოსტაზე.

3.2. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის" და მასწავლებლის შრომის საათობრივი ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების შესაბამისად.

3.3. დასაქმებულის შრომის ანაზღაურება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების დაქვითვით (თანხის ჩარიცხვა ხორციელდება დასაქმებულის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დასკვნითი დებულებები

4.1. ხელშეკრულება ძალაშია --------- წლის ---------- და მოქმედებს ---------- მდე.

4.2. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება (წარმოდგენილი შესაბამისი მოდულის დაწყებამდე ერთი თვით ადრე);

ბ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) პროფესიული მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის გაუქმება, რომლის წარმართვის მიზნით მოწვეულია დასაქმებული;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

4.3. მხარეთა შორის სადაო საკითხები მოგვარდება შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლო წესით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება დამსაქმებელთან (დასაქმებულის პირად საქმეში), ხოლო მეორე გადაეცემა დასაქმებულს.

4.5. მხარეთა ხელმოწერები:

„დამსაქმებელი“	„დასაქმებული“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	**სახელი, გვარი:**
ადმინისტრაციული მისამართი:	**პირადი ნომერი:**
ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32	**რეგისტრ. მის.:**
უნივერსიტეტის რექტორი	**ფაქტ.საცხ.ადგ:**
_____	**ელექტ.მისამარ. -**
(ხელმოწერა)	**საკონტ.ტელ.**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	**საბანკო რეკვიზიტი:**
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 23 ოქტომბრის
N01-02/136 ბრძანების დანართი N2

ხელშეკრულება №

ქ. ბათუმი ,,_____" ,,_____" _____ წ.

ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდეგში "უნივერსიტეტი" ან ,,ბსუ"), წარმოდგენილი უნივერსიტეტის ----------
---------- მიერ და მეორე მხრივ _
(შემდეგში ,,**მსმენელი**") ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია უნივერსიტეტსა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის **(შემდეგში - ,,პროგრამა")**
_____
მსმენელს შორის ურთიერთობის რეგულაცია.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით, ბსუ-ს პროფესიული მომზადების/გადამზადების **პროგრამის** განხორციელებასთან დაკავშირებული ბსუ-ს მართვის ორგანოთა სამართლებრივი აქტებით (ბსუ-ს პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 05 დეკემბრის N01-02/202 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 29 ნოემბრის N 01-02/198 ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტები) და წინამდებარე ხელშეკრულებით.

2.2. **მსმენელი** ადასტურებს, რომ გაცნობილია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ, წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ სამართლებრივ აქტებს და **იღებს ვალდებულებას:**

ა) შეასრულოს შესაბამისი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნები;

ბ) სარგებლობისას გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას, შეინარჩუნოს მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მდგომარეობა;

გ) გაეცნოს უნივერსიტეტის სამართლებრივ აქტებს და მასში შეტანილ ცვლილებებს (განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე -www.bsu.edu.ge. ან/და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე ან/და გაეგზავნება მსმენელს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ელ. ფოსტის მისამართზე);
დ) ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ვალდებულებები.

2.3.მსმენელს **უფლება აქვს:**
ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
ბ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს შეფასების შედეგი;
გ) მიიღოს სრულყოფილი ინფორმაცია(კონსულტაცია) უნივერსიტეტის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების, შეფასების კომპონენტის, ასევე პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე;
დ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;
ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;
ვ) ისარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა, წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტში ხსენებულ ბსუ-ს სამართლებრივ აქტებში და სხვა სამართლებრივი აქტებით მინიჭებული უფლებებით.

2.4. მსმენელი ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აცხადებს თანხმობას მისი პერსონალური ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ დამუშავდეს ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის და ბსუ-ს სასწავლო პროცესის სხვა კანონიერი საჭიროებიდან გამომდინარე.

2.5. უნივერსიტეტი ვალდებულია ხელი შეუწყოს მსმენელს, რათა ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და ბსუ-ს სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული უფლებებით.

მუხლი 3. სწავლის საფასური

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის საფასური განისაზღვრება საქართველოს შესაბამისი ნორმატიული აქტით (----------).

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია შესაბამის პროგრამაზე მსმენელის ჩარიცხვის ბრძანების გამოცემისთანავე და მოქმედებს მსმენელის სტატუსის შეწყვეტამდე.

4.2. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია პროგრამის მოთხოვნების შესრულება და კვალიფიკაციის მინიჭება.

4.3. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის სხვა საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობა;

გ) გარდაცვალება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით, ბსუ-ს შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

მუხლი 5. მხარეთა რეკვიზიტები

5.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

5.2. მხარეთა რეკვიზიტებია:

„უნივერსიტეტი"

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35

(ხელმოწერა)

„პროფესიული სტუდენტი"

სახელი, გვარი _

პირადობის მოწმობის №_ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

პირადი № _

ფაქტობრ. მისამთ._ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _

რეგისტრ.მისამ. ----------

ტელეფონი _

ელ. ფოსტა_ _

საკონტაქტო პირი ----------

ხელმოწერა _

კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა (ქმედუუნარო/არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში) ----------